თენგიზ ილურიძე

კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვანი
საბაკალავრო პროგრამა
კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა
დარმშტატის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტი, გერმანია

Erasmus+-ის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღების სურვილი ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მქონდა. 2026 წლის გაზაფხულის სემესტრში მომეცა უნიკალური შესაძლებლობა, განათლება მიმეღო დარმშტატის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტში. გავეცანი გერმანულ განათლების სისტემას, მივიღე სრულიად ახალი და განსხვავებული გამოცდილება.

ყოველი ახალი დღე მაძლევდა პერსპექტივისა და გამოცდილებების გაფართოების შანსს. ყველაზე ძვირფასი, რასაც გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ვიძენთ არიან ახალი ადამიანები. ვეცნობით მათ კულტურას, ყოველდღიურ ცხოვრებასა და ვიღებთ დაუვიწყარ ემოციებს. შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი სამეგობრო წრე ათასობით კილომეტრით გაიზარდა და უკვე კონტინენტებსაც კი სცდება.

დარმშტატი არის ერთი ძალიან მყუდრო და პატარა სტუდენტური ქალაქი, სადაც შეხვდებით მონდომებულ ადამიანებს მთელი მსოფლიოდან. ხალხი ძალიან თბილი და ყურადღებიანია. ისინი გეხმარებიან ყოველდღიური პრობლემების გადაჭრაში და უცხო გარემოში ადაპტაციას გიმარტივებენ.

უნივერსიტეტში სწავლა ძალიან ღირებული გამოცდილება იყო. თითოეული ლექტორი გამოირჩეოდა პროფესიონალიზმითა და საკუთარი საგნისადმი დიდი სიყვარულით. სწავლა შედგებოდა თეორიული და პრაქტიკული ნაწილებისგან. გავიარე რამდენიმე რთული, მაგრამ ბევრის მომცემი საგანი, რომელმაც მრავალჯერ გააღრმავა ჩემი ცოდნა და გამიძლიერა ინტერესი კომპიუტერული მეცნიერების მიმართ.

მარტოდ გატარებულმა ექვსმა თვემ შემძინა მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გამოცდილება. მაგალითად, ვისწავლე ფინანსების სწორი გადანაწილება, დროის ოპტიმალურად ორგანიზება და დამოუკიდებელად გადაწყვეტილებების მიღება.

Erasmus+-ის პროგრამაში მონაწილეობის მიღება სწორი არჩევანი იყო , რადგან მიღებულმა გამოცდილებამ შეცვალა ჩემი ცხოვრება და გამიფართოვა თვალსაწიერი.